



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენტეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე



თ. მენტეშაშვილი

მენტეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე (26. III. 1928, თბილისი, – 25. IV. 2016, მოსკოვი), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი (1982–89). დაამთავრა სპი (1950, ახლანდ. სტუ). 1950-იდან მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნაში უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1952–53 იყო საქართვე. ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი; 1953–56 – ინსტრუქტორი; 1956–58 – საქ. ალკკ ცკ განყოფილების უფროსის მოადგილე, მდივანი (1958); 1958–61 – საქ. ალკკ ცკ-ის მეორე მდივანი; 1961–63 – საქ. კპ ცკ-ს მრეწველობისა და ტრანსპორტის განც-ბის უფროსის მოადგილე; 1963–66 – საქ. კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; 1966–68 – საქ. კპ ცკ-ს ვაჭრობის განც-ბის უფროსის მოადგილე; 1968–72 – საქ. კპ

ცკ-ს მსუბუქი და კვების მრეწველობის განც-ბის უფროსის მოადგილე; 1972–74 – საქართვე. კპ ცკ-ის ორგანიზაციული და პარტ. მუშაობის განც-ბის უფროსის მოადგილე; 1974 – საქ. კპ თბილ. საქალაქო კომიტეტის მეორე, 1974–82 – პირველი მდივანი; 1989–92 – სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი. ამავე დროს იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს კანონიერებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის წევრი, სკკპ ცკ წევრობის კანდიდატი (1986–90), სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი (1974–89) საქ. სსრ-დან, სსრკ სახალხო დეპუტატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს წევრი (1989–91).

მ. იყო რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო უცხოელი წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწ.

ჯილდოები.
